ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N31

19.12.2023 წელი
12:00 საათი

ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ბიუროს სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 19 დეკემბერს, 12:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 4 კომისიის გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გურამი ოქროპირიძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ირაკლი ხელაძე** (კომისიის წევრი) და **მარიამ ზაქარიაშვილი** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი **გაიოზ თალაკვაძე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 4 (ოთხი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1.„**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ**" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის **№ 19- 118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი #12-032334971-03, 05.12.2023წ.),*

მომხსენებელი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი **გაიოზ თალაკვაძე.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომა წარიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო, სარევიზიო და სატრანსპორტო საკითხთა კომისიებთან ერთად.

გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გურამ ოქროპირიძე.

მოისმინეს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

გაიოზ თალაკვაძე - მოგესალმებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს გადასახდელების ნაწილში არსებული რესურსების გადანაწილების ხარჯზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი საქალაქო სამსახურის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებების გათვალისწინებით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა დარჩება უცვლელი და შეადგენს **1 826 328,8** ათას ლარს.

აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე-ქვეპროგრამებზე, მათ შორის: **იზრდება** გზების მოვლა-შეკეთება ვაკის (კოდი 01 01 12) და საბურთალოს რაიონებში (კოდი 01 01 13); საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02); ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი 02 07); კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01); კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს (კოდი 02 09 15), სამგორის (კოდი 02 09 17) და კრწანისის რაიონებში (კოდი 02 09 18); დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 16 16); სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები გლდანის (კოდი 06 02 18 07), ისნის (კოდი 06 02 18 13) და მთაწმინდის (კოდი 06 02 18 16) რაიონებში; მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03); ქ.თბილისის საკრებულო (კოდი 10 01); სარეზერვო ფონდი (კოდი 10 21). **მცირდება** გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01); გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში (კოდი 01 01 13); სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01), საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01); საპროექტო–საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 01); გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05); კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის (კოდი 02 09 10), ნაძალადევის (კოდი 02 09 11), ჩუღურეთის (კოდი 02 09 13) და ვაკის რაიონებში (კოდი 02 09 14; ავარიული სახლების ჩანაცვლება (კოდი 02 12); გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01); ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01); შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა (კოდი 04 07 02); თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08); ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის (კოდი 05 01 08) ნაძალადევის (კოდი 05 01 09), ჩუღურეთის (კოდი 05 01 11), ისნის (კოდი 05 01 14), სამგორის (კოდი 05 01 15), კრწანისის (კოდი 05 01 16) და მთაწმინდის რაიონებში (კოდი 05 01 17), უფასო სასადილოებით მომსახურება მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 14 15); გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 15 16); სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10); სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 02); მერიის ადმინისტრაცია (კოდი 10 02); გლდანის რაიონის გამგეობა (კოდი 10 27); კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი 10 35).

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" საკითხი,

მომხრე - გურამი ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ირაკლი ხელაძე, მარიამ ზაქარიაშვილი - (4),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გურამ ოქროპირიძე